№ 30 თებერვალი 12, პარასკევი 1893 თებერვალი 12, პარასკევი № 30

ბაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიემართოთ: თბილისში რედაქციას, ყუკია-ში, აკაშელის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, ოავ. გრუზინსკიისეულს სახლში; წერა-კითხვის გამამგრძელებელ საზოგადოების განყოფილებასა, სათავად-აზნაურთა ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლეგამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა აცხადებს, რომ 14 ამა თებერვალს, კვირას, დღისის 10 საათზე, ბანკის შენობის დარბაზში დანიშნულია საგანგებო კრება აღნიშნულის ბანკის წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთა. კრებამ შემდეგი მოხსენებანი უნდა განიხილოს:

1, მოხსენება იმის შესახებ, გადაიდოს თუ არა 15 ათასი მან., კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად.

2, მოხსენება იმის შესახებ, რომ 1,000 მანათამდე გამოიღოს ბანკმა დასაწყობად იმ ქალალდისა, რომელიც მოავრობას უნდა მიერთვას, რაც შემაღლებულად დამტკიცებული ხიზანთა დებულება გადასინჯულ იქმნას.

3, მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკის გამგეობისათვის მინიჭებული უფლება 6% სესხის გარდასაცვლელად 5%-ზე შეცვლილ და შევსებულ იქმნას.

ტფილისი, 11 თებერვალი

რამდენი დღეც გადის, იმდენი ახალ-ახალ-ა არა-სასიამოვნო წამი, რომელსაც უნდა გათავდეს მოქმედება ძველის საქალაქო წესისა, განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ შემოღებულისა. ეს წესი ამ მოკლე ხანში უნდა ჩაჭბარდეს ისტორიას, რომელის წინაშე იგი, უეჭველია, შორსთოლად წარსდგება, და მისი ადგილი უნდა დაიჭიროს ახალმა წესმა, დამტკიცებულმა შარშან ზაფხულს. აგერ გაზეთებმა კიდეც გვაცნობეს, რომ ქალაქის გამგეობამ დასასრულა შედგენა ახალ ამამრჩეველთა სიებისაო. ეს სიები ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება, წარედგინება ბნ ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად და შემდეგ დაურიგდება ხალხს, რათა ჩვენი მოქალაქენი დამზადნენ არჩევანებისთვის, რომელიც მოხდება ამ გაზაფხულის გასულს, მაისის უკანასკნელ რიცხვებს ანუ ივნისის დასაწყისს. ამ სამ თთვეში ამამრჩევლებმა უნდა იფიქრონ, აიდონ-დაიდონ, შეუდარონ ერთმანეთს ცნობილი მოდვაწენი საბჭოსი და შეადგინონ სიები იმ ხმოსანთა, რომელთაც ამას ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მათთვის თავიანთი დროებითი გამარჯვება და გაბატონება საეჭვოა, თორემ ხალხის საქმე გინდაც წუალს წაუდია,—არამედ მოჰქვდება თვით სახალხო ურთიერთობას, სომეხთა ავკარგიანობას.

ამიტომ ჩვენა გვწამს, რომ ქალაქის ამომრჩეველი, განურჩევლად გვარ ტომობისა, ერთნაირის პატივისცემით წაიკენებს წინ იმისთანა კაცებს, ვისაც მართალი უნარი აქვს ქალაქის ერთგულის და ნიჭიერის სამსახურისა. ასეთს საქციელს მოითხოვს, ჩვენ-ს აზრით, კეთილ-გონიერება და, თუ გნებავთ, თვით გვარტომობის საქმეც.

მოქალაქე

ახალი ამბავი

*** გუშინ, 11 თებერვალს, დილით ჩამობრძანდა მისი უგანათლებულესობა ემირი სრულიად ბუხარისა. როგორც შევიტყეთ მის პატივსაცემლად 14 თებერვალს „ტფილისის სამუსიკო კრებულში“ გამართული იქმნება სეანის მოყვარეთა მიერ წარმოდგენა თამრულ ენაზედ.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ტიხონი დანიშნულია პეტერბურგის სასულიერო საცენზურო კომიტეტის უფროს წევრად და მის მოადგილედ—სამარის სასულიერო სემინარიის რექტორი სერაფიმი.

*** ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის რუსული საოპერეტო დასი ამ დღეებში გაემგზავრება ბაქოს წარმოდგენების გასამართავად. როგორც შევიტყეთ, ქ-ნ საფაროვ-აბაშიძეს მიუწვევია ქართულ დრამატიულ დასის ყველა არტისტები და ამ დიდმარხვაში წარმოდგენებს გამართავს ტფილისში და რამდენსამე წარმოდგენას ქ. ბაქოშიაც.

*** ქალაქის უძრავ ქონებაზედ, როგორც მკითხველმა იცის, დაწესებულია სახაზინო გარდასახადი, რომელსაც ჰკრეფავს ქალაქის გამგეობა და შეაქვს ხაზინაში. ყოველ წელს ხსენებული გარდასახადი კანონის ძალითა უნდა განაწილდეს ხოლმე ქონებათა დაფასების კვალობაზედ და გამოცხადებულ იქმნას 15 აპრილისთვის, რომ ხარჯის მძღეველმა იცოდეს თავისი მოვალეობა და დროზედ შეიტანოს სახელმწიფო გარდასახადი. რადგან წელს ჯერ არ მიუღია ქალაქის გამგეობას ცნობა მასზედ, თუ რამდენი ფუღია შეწერილი ტფილისის მამულებზედ, ამიტომ ქალაქის მოურავმა მიჰმართა ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა—შეგვატყობინეთ, რამდენი უნდა გავიწეროთ ეგ ხარჯი. მაგრამ რადგან ჯერ მთავარ-მართებელს არ დაუმტკიცებია საერო ხარჯთ-აღრიცხვა სამის წლისა (1893—1895), ამის გამო საგუბერნიო მთავრობამ ვერ მისცა გამგეობას საჭირო ცნობა. ეხლახან ქალაქის გამგეობამ კვლავ მიჰმართა ბ-ნს გუბერნატორს და სთხოვს ხსენებულ ცნობის შეტყობინებას ამ მოკლე ხანში, რადგან ვადა განაწილებისა ახლოვდება და საქმე-კი განაწილებისა ძრიელ ბევრს შრომას და დროსა თხოულობს.

*** 10 თებერვალს კრება ჰქონდა საურთიერთო დაზღვევის საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტს. კრებას დაესწრნენ წევრნი კომიტეტისა: ქალაქის მოურავი თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკი, წევრნი გამგეობისა ა. ა. ივანენკო და ხმოსანი საბჭოსი თავ. ი. გ. მაჩაბელი. კომიტეტმა განიხილა თხოვნა ჩითახოვისა, რომლის სახლიც, ამ საზოგადოებაში დაზღვეული, დაიწვა 3 თებერვალს და რომელიც ოფასებდა ცეცხლის ზარალს სამას ორმოც-დათ თუმნად. კომიტეტმა გარდასწყვიტა თვითონ ადგილობრივ ენახა დამწვარი სახლი ჩითახოვისა. ყოველმა წევრმა კომიტეტისამ სათითაოდ ნახეს დამწვარი სახლი და ხმის უმეტესობით დაადგინეს, რომ ზარალის აღსადგენად უნდა მიეცეს ჩითახოვს სამას ორმოც-და-ათი თუმანი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზით წარსულ 1892 წელს სხვა-და-სხვა სადგურიდგან სხვა-და-სხვა ქალაქებში გაგზავნილ იქმნა რკინის გზით სიმინდი—$3^1/_2$ მილიონი ფუთი, პური—4 მილიონი ფუთი, ბრინჯი—$^1/_2$ მილიონი ფუთი, ქვის ნახშირი—600 ათასი ფუთი, ძირ-ტკბილა—$2^1/_2$ მილიონი ფუთი, ღვინო—1 მილიონი ფუთი, მატყლი—$^1/_2$ მილიონი ფუთი, ბამბა—$1^1/_2$ მილიონი ფუთი, ბალი ქვა—$9^1/_2$ მილიონი ფუთი, შაქარი—1 მილიონი ფუთი და 800 ათასი ფუთი ფხვნილი შაქარი, $^1/_2$ მილიონი ფუთი სხვა-და-სხვა საქონელი, გარდა ნავთისა, 23 მილიონი ფუთი.

*** როგორც ვიცით, კავკასიაში ბევრი ებრაელი სცხოვრობს. 14 იანვარს ტფილისში მოვიდა ბრძანება შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომ 1 ნოემბრამდე ეს ებრაელები უსათუოდ უნდა გადასახლდნენ იმ ადგილას, რომელიც მთავრობისაგან მათ საცხოვრებლად არის დანიშნული.

*** შაბათს 10 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ბერძნების არხიმანდრიტის ევგენიოს მკვლელობისა, რომელიც მოხდა 25 დეკემბერს 1891 წ. სოფ. ზემო-ხოდაშენში. მკვლელობა ჰბრალდებოდა ბერძენსავე არხიმანდრიტ ნიფონს, მის მოსამსახურეს ქრისტოდულს და გლეხს სოლომონ ებიტაშვილსა. ეს საქმე წინად ოლქის სასამართლომ გაარჩია, არხიმანდრიტი ნიფონი და მისი მოსამსახურე ქრისტოდული გაამართლა, ხოლო სოლომონ ებიტაშვილს მიუსაჯა 12 წლით კატორგა. შაბათს, 10 თებერვალს, სასამართლოს პალატამ განიხილა ეს საქმე და ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

*** ქუთაისი (დუშეთის მაზრა): ამას წინად აქ ერთი უბედურება დატრიალდა: პატარა ყმაწვილი, ალ. კაიშურის ასული, რომელსაც ხელში გახსნილი დანა ეჭირა, წაიკვა და ზედ დაეგო დანას. პატარა ქალი საშინლად დაიკრა. დედამ ფლარ იცოდა, რა ექმნა. ყმაწვილი სისხლისაგან დაიცალა და ყველამ იმედი გადასწყვიტა მის მორჩენისა. მიუფოდეს შინაურს ექიმს, ვინმე ლ. აუსაჯანოვს. ექიმი მეორე დღეს მოვიდა, გაშინჯა ჭრილობა ყმაწვილისა, იტვირთა მორჩენა და კიდეც მოარჩინა. დღეს ბავშვი წინანდებურად ფეხზედ დარბის. ამ ავსაჯანოვზე ამბობენ, რომ ბევრნაირ ჭრილობასა და ნაღრძობ-მოტეხილს არჩენსო.

*** 10 ამ თვისას პანასევიჩის ქუჩაზე ტარიელოვის სახლთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბენიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

მთავრობის განკარგულებანი

ეისკის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწე, დიმიტრი ნაცვლიშვილი დანიშნულ იქმნა ბათალფაშინსკის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად.

ს

აქტიორების ჯამაგირი დაამცირებს ჩვენს ანტრეპრენიორს, რადგანაც, რაც დრო გადის, იმდენად უფრო თანაგრძნობით ეკიდება ჩვენი საზოგადოება ქართულს წარმოდგენებს.

აგრედვე კარგი იქნება, რომ ხანდისხან კლასიკური პიესები იქნას წარმოდგენილი, მაგ., მოლიერის კომედიები, რომელთა თარგმნები ფრიცხვია ჩვენ ენაზედ, და შექსპირის დრამები. რასაკვირველია, ნამდვილი შექსპირი ჯერ არ გვყოლია ჩვენს სცენაზედ, მაგრამ, თუ ჩვენი არტისტები ეცდებიან და იშრომენენ, კლასიკური პიესა ყოველთვის თავისას გაიტანს, მისი შთაბეჭდილება ყოველთვის დიდი იქნება მაყურებლებზედ.

ჩვენმა დასმა ყველაზედ უწინ უნდა იქონიოს სახეში საზოგადოებისათვის სამსახური, უნდა იცოდეს, თუ რა დიდი დანიშნულება აქვს მას მნდომბელი. სცენა კათედრაა ეროვნებრიტების საქადაგებლად, კეთილის აზრების და საქმების გასავრცელებლად საზოგადოებაში. მით უმეტესს ასეთი მაღალი, ადმზრდელი დანიშნულება აქვს თეატრს ჩვენში. ყველაზედ უმეტესად უნდა იქონიოს ეს სახეში ბ-ნმა კ, მესხმა, როგორც მოთავემ საქმისამ. ნუ დაიკლებს ნურც ცდას და ნურც შრომას, რომ ღირსეულად შეასრულოს მისმა დასმა თავისი მოვალეობა. ყოველის ღონით და ძალით ემსახურეს ჩვენს თეატრს და ჯილდოს და დაფასებას თანამედროვეთაგანაც მიიღებს და მომავალშიაც.

სანვინი

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ოზურგეთი. შაბათს, 7 თებერვალს მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა გრიგოლმა აკურთხა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ახლად აშენებული ეკკლესია. მღვდლად ამა ეკკლესიისა ხელ დასხმულ იქმნა ამავე სასწავლებლის მასწავლებელი ა. თოხაძე. თუმცა ძლიერ ცუდი ამინდი იყო, მაგრამ ხალხი დიდძალი დაესწრო. წირვის შემდეგ ზედამხედველმა ამავე სასწავლებლისამ ბ-ნმა ტატიშვილმა წაიკითხა მოხსენება სასწავლებლის შესახებ და დასაწყისში მოკლედ

უამმო დამსწრეთ თავგადასავალი და ისტორია სასწავლებლისა დაარსებიდგანვე; შემდეგ ვრცელდ ილაპარაკა სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ წარსულ სამოსწავლო წლის განმავლობაში. დასასრულ, ნათლად და მარტივად დასასურათა სიღარიბე და ხელმოკლეობა ამა სასწავლებლის მოწყალეთა უმეტესობისა და ითხოვა მის ყოვლად უსამღვდელოესობის ნება რთვით დაარსება „ძმობისა“ დასახმარებლად ღარიბ მოწყალეთათვის. მის ყოველად უსამღვდელოესობამ გრიგოლმა ნება დაირთო და დამსწრეთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს. მისმა ყოველად უსამღვდელოესობამ ახალ დაარსებულ „ძმობას“ შესწირა ოცი თუმანი; არხიმანდრიტმა ამბროსიმ—ოცდა ხუთი მანეთი. მათ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს და ყველა დამსწრენი „ძმობის“ წევრად ჩაეწერნენ. შემდეგ სასწავლებლის მმართველობამ ყოველად სამღვდელო გრიგოლი, არხიმანდრიტი ამბროსი და ყველა წევრნი „ძმობისა“ სადილად მიიწვია.

ეს პირველი მაგალითია, რომ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში წლიური აქტი ყოფილიყო ასე საჯაროდ. ამ ჰრიველმა მაგალითმა სასურველი ნაყოფი გამოიღო: „ძმობის“ დაარსებით ღარიბ და ხელმოკლე მოწყალეთ დიდი შეღავათი მიეცემოთ.

გ.

ბუხრის ემირი

გუშინ, 11 თებერვალს, ჩამობრძანდა ტფილისს, პეტერბურგიდგან დაბრუნებული, ბუხრის ემირი სეიდ-აბდულ-აღადხანი. მისი უგანათლებულესობა მეოთხე შვილია განსვენებულ ემირის სეიდ-მაზათარისა. მამის სიკვდილის შემდეგ სრულიად ბუხრის ბატონად იქმნენ კანონისამებრ უფროსი შვილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ აბდულ-მელიქი (უფროსი შვილი) დიდი ხანია ინგლისს მიემხრო, მამის წინააღმდეგ ხალხი ააჯანყა და იარაღით ხელში მამას ტახტს შეეცილა. მამა მისი რუსეთის მხრე იყო. რუსეთის ჯარმა დაამარცხა აბდულ-მელიქი და იგი იძულებულ შეიქმნა ინდოეთში გაქცეულიყო. ამ გვარად აბდულ-მელიქმა დაკარგა მემკვიდრეობა. ორი მისი ძმაც გარდაიცვალა და მემკვიდრეობა, რა-

საკვირველია, მეოთხე შვილს, სეიდ-აბდულ-აღადხანს დარჩა.

მისმა უგანათლებულესობამ, 4 ნოემბრიდგან 1885 წ. დაიმკვიდრა ტახტი სრულიად ბუხრისა.

სეიდ აბდულ-აღადხანი დაიბადა 1857 წელს. მისი დედა სპარსელი იყო, ქალი დედაკაცი, და თავისი შვილი მუსულმანურ სარწმუნოებისამებრ აღზარდა. ემირს ძლიერ უყვარს თურმე ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია; იცის თითქმის ყველა აღმოსავლეთის ენები და თვითონაც ლექსებსა სწერს თურმე, გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის ჭირ-ვარამს და საზოგადოდ პოლიტიკას, თუმცა-კი თვითონ რუსული არ იცის.

13 წლისა იყო ემირი, როცა ცოლი შეირთო. მამა როცა ცოცხალი ჰყვდა, სეიდ-აბდულ აღადხანი ბეგად იყო და ხალხის თანაგრძნობა და სიყვარული მაშინვე მოიპოვა თურმე. ემირს ნამდვილი დარბაისლური ცხოვრება უყვარს. თავისუფალ დროს-კი ჯირითობით ერთობა. ეხლაც საუკეთესო მხედრად ითვლება მთელს ბუხარაში. 1883 წ. მამამ გაკბაზეს მოსკოვს, რომ ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინებას დასწრებოდა. ემირმა მაშინ პეტერბურგიც მოიარა. რუსეთში მოგზაურობამ საკეთილოდ იმოქმედა ახალგაზდა ემირზედ და, როცა შინ დაბრუნდა და ტახტი დაიკიდრა, ბევრი ცვლილება მოახდინა თავის სამფლობელოში: მოსპო მონობა, შეამცირა ჯარის რიცხვი, გაუქმა ჯურღმულები, სადაც უბედურ პატიმართ მზის სხივის მოხატოდა, სული ჰხდებოდათ, და სხვა მსგეცური სასჯელი აჰკვეთა.

ემირი ფხიზელი და მახვილის ტკეცის კაცია. ღილის მზის ამოსვლის ასაწრობს ხოლმე და მთელი დღე თავის ქვეყნის საქმეების გაგზილვაშია გაბმული. ემირი ძლიერ გულკეთილია და თავაზიანი, თუმცა-კი მის მიერ დაყენებულ მოხელეებს არ უთმობს, უკეთუ ვინმე მათგანი მტეცედ არ ასრულებს მოვალეობას.

ემირი წარმოსადეგი, ჩასხმული და მოხდენილია. მოწიფილ ფოფუტს უმშვენებს შავი წვერი; მსხვილი მაყვალივით შავი თვალები გონივრულად გამოიცქირებიან და მის ნაზსა და ბადრს სახეს რაღაც ელ-ფერს სდებენ. ამას რომ დაუმატოთ ტკბილი და საამური ხმა და

ნები და არა ყოფილიყო სხვა-და-სხვა უცხოელ სულთამხუთავეების ხელშეო, სადაც-კი სახელოსნო სასწავლებლები არსებობენო, რუსეთშია თუ სამზღვარ-გარეთ — განაგრძობს ბ-ნი ცხვეთაძე—ყველგან ეს სასწავლებლები უმთავრესს დროსა და უმეტეს მეცადინეობას ანდომებენ ხელობის საუკეთესო შესწავლას, ხოლო მეცნიერებას უჭირავს მეორე ადგილი, რადგან ამისთანა სასწავლებლებში მეცნიერების ჯეროვანი შესწავლა მაინც მოუხერხებელია. და სამეცნიერო სასწავლებლები სხვები არიანო. აქედგან აშკარაა დასკვნა, რომელიც გამოჰყავს ბ-ნ ცხვეთაძეს: უნდა ძირეულად შეიცვალოს რიგი სწავლებისა, უწდა პირველი ადგილი დაეთმოს ხელობათა საუკეთესო სწავლებას, რადგან ხელობისა და ხელოვნების ასაყვავებლად დაარსა სასწავლებელი ქალაქმა, და მეცნიერობის სწავლებას-კი მიენიჭოს მეორე ადგილი, რამდენადაც-კი იგი აუცილებელია, რომ თვით ხელობა უკედ შეისწავლოს შეგირდმა. აი მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექმნება რიგიანი სახელოსნო სასწავლებელი და ამით დავიხსნით ჩვენს ხელოსან ხალხს უცხოელთა მჩაგვრელ ხელიდგანაო.

ამ საქმის შესასრულებლად საჭიროა შეიცვალოს თვით პროგრამა პირველ დაწყებითის სკოლებისაო, რომელთა შორის რამდენიმე უნდა ორ-კლასიან სასწავლებლად გარდაიქმნეს, რომ აქ საკმარისად დახელოვდნენ სწავლაში ყმაწვილები, კარგა მოჩიტდნენ და შემდეგ გადავიდნენ სახელოსნო სასწავლებელში იმდენად მომზადებულნი, რომ პირდაპირ შეეძლოთ ხელობის სწავლების დაწყებაო. თუ ასე შეიცვალა სწავლების საქმე საქალაქო სკოლებში და აგრედვე სახელოსნო სასწავლებელში, მაშინ თვით საჭირო მეცნიერებაც ნაკლებად აღარ ეკოდინებათ

მერე კიდევ იმიტომ, რომ შედარებით უმეცარნი არიან ხელობისაო.

**

ასეთი უნაყოფობა საბელოსნო სასწავლებლისა მხოლოდ იმის ბრალიაო—ამბობს ბ-ნი ცხვეთაძე, რომ ერთხელ დაწყებულ საქმეს კვალში აღარ ჩაჰდგომია საბჭო, მიუნებებია თავი და აღარც მის ნაკლისათვის-და მიუქცევია ყურადღება, აღარც მის ღირსებისათვისო. მზრუნველი ბატონნი-კი ჰირველშივე შეატყობდა შედეგს ნაკლსაო: სასწავლებლის პროგრამას უმთავრესადა აქვს სახეში ასწავლოს შეგირდებს სხვა-და-სხვა პირველდაწყებითი მეცნიერება, რომელიც ცხოვრებაში მათ ვერაფერს სამსახურს ვერ გაუწევესო, და ხელობის სწავლებას-კი უკანასკნელი ადგილი უჭირავს პროგრამაშიო, თუმცა ახრი სახელოსნო სასწავლებლის დაარსებისა ის იყო, რომ ჩვენს ქალაქსა ჰყოლოდა საკუთარი ხელოს-

შემოწირულობით კარგა ბლომა თანხა, ხელოსნებმა შესწირეს თავიანთი შრომა ამ საუკეთესო საქმეს და რამდენსამე წელიწადში გაკეთდა მშვენიერი სახლი სახელოსნო სასწავლებლისა, რომლის შენახვა მას შემდეგ თვეს იდვა ქალაქის თვით-მმართველობამ. 1880 წელს გაიხსნა სწავლა ამ სასწავლებელში. აგერ განვლო მას აქედ ცამეტმა წელმა, და რას ვხედავთო, ეკითხება ბ-ნი ცხვეთაძე ქალაქის საბჭოს?—იმასა ვხედავთ, რომ ამოდენა ხნის განმავლობაში სასწავლებელმა მოგვცა სულ შვიდი „მასტერი“-ხელოსანი და სამოც-და-თვრამეტი „მასტერის“ „ბანშეფწე, ანუ „ჭოდმასტერიეფ“, რომელთაც თავიანთის თავის შენახვა ნაკლებ არ უძნელდებათ, ვიდრე უწინდელს ჩვენებურს ხელოსნებსაო, და ვერავითარს ქიშპობას ვერ უწევენ უცხოელთა ხელოსნებს ჯერ იმიტომ, რომ ძრიელ ცოტანი არიან და

ლი, რომ ეროვნებაც-კი ... ეროვნებაც-კი

ბელი

ბ-ნ ცხვეთაძის

თი გავლენა ჰქონიათ, როგორიც სიზმრადაც არ მოგვეზმანებოდა (ტაშის ცემა). აი, ბატონებო, რა ყოფილა უმთავრესი მიზეზები იმ სავალალო საქმისა, რომელიც ზემოდ დაგისახელეთ. აუცილებლად საჭიროა, დაუმტკიცოთ ამმბრძოველთ, არა, ეს საჭირო არ არის, —საჭიროა, დავუმტკიცოთ მთელს საფრანგეთს და წარეუდგინოთ უტყუარი საბუთები იმისა, რომ ასეთი სამწუხარო ამბები არასოდეს აღარ მოხდება (ხანგრძლივი ტაშის ცემა. დერეულები გაიძახის: აი, როგორ ლაპარაკობს პატიოსანი კაცი!) საფრანგეთის ერს ფიქრადაც არ მოსვლია, მთავრობას უსაყვედუროს და ბრალი დასდოს ამ სამწუხარო ამბების გამო (ტაშის ცემა) და სწორედ ეს ამტკიცებს, რომ აწინდელს მთავრობას არავითარი შინაარა უნდა ჰქონდეს. ერი აწინდელ მთავრობის წეს-წყობილებას-კი არა ჰკიცხავს, ერი ჰკიცხავს მთავრობის იმ წარომადგენელთ, რომელთაც დანაშაული მიუძღვიათ პანამის საქმეში, და აი, სწორედ ამიტომ მოვალენი ვართ, დავუმტკიცოთ ერს, საფრანგეთის დემოკრატიას, რომ აწინდელი წეს-წყობილება მთავრობისა ძირიანად შეიცვლება (ისმის ხმა: ძლიერ კარგად არის ნათქვამი, ძლიერ კრგად!) მოკლედ რომ ვსთქვათ, რას ნიშნავს აწინდელი ჩვენი საქმე? ერთის მხრივ ვხედავთ, რომ ვითომ და გაზეთში დანაბეჭდად განცხადებისთვის დიდს ფულსა ჰფინტავენ (ხანგრძლივი ტაშის ცემა); მეორეს მხრივ ვხედავთ, რომ ვითომ და სავაჭრო ოპერაციებიგვაქვსო და ყოველ გვარ საშუალებასა ხმარობენ, ჯიბეები ფულით გავიტენეთო. ჩვენ გავიგონეთ სიტყვები პანამის საზოგადოებისავე ერთის მმართველისა, რომელმაც თითონ აღიარა, რომ ამ საზოგადოებისთანა ხარი და უსირცხვილო წარმოსადგენადაც-კი ძნელიაო. ჩვენ ვიცით ეხლა, რომ პანამის საზოგადოება შემწეობასა სთხოვდა ისეთ კაცებს, რომელთაც საქმისა არა გაეგებოდათ-რა ტ ერთად-ერთი სურვილი ჰქონდათ, უშრომლად ფული ეშოვნათ, ფულით ეპარაპშნათ და საქმისთვის-კი არა მოეხმარებინათ-რა (სიცილი და ტაშის ცემა). ეხლა გკითხავთ, რისთვის დაარსდა ის სინდიკატები, რომელთაც აღიარეს, ჩვენ ვკისრულობთ თავდებობას პანამის საქმეშო. რას ნიშნავს ეს „თავდებობა“? თუ იმასა ჰფიქრობთ, რომ სინდიკატები მოვალენი არიან, გამოცემულ ობლიგაციების მყიდველთ, თუ ვინაცოცხალ საქმე ჩაიშალა, ფული უკან დაუბრუნონ, ძლიერ სცდებით. საქმე ჩაიშალა, ობლიგაციების მყიდველთ ხვედრს ფულს აღარ აძლევენ და „თავდებნი“-კი იმის მაგივრად, რომ ეს ფული თითონ შეავსონ, როგორც მოვალენი არიან, კიდევ ერთმეორენი რაღაც გარდასახდეს გულ-უბრყვილო ხალხსა, რომელმაც ისე დაუფიქრებლად ხელთ უგდო ოფლით მონაგარი ფული პანამის საზოგადოებასა (ტაშის ცემა).

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ აიროგორი ლაპარაკი შეჰფერის რესპუბლიკის მინისტრებს.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

10 თებერვალი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია—ციხე-ქალაქს დინაბურგს ახალი სახელი—ციხე-ქალაქი უსტ-დვინსკი ეწოდოს.

ვლადიმირის ვიცე-გუბერნატორი აკინფოვი სიმბირსკის გუბერნატორად დაინიშნა.

„Правительств. Вѣстникъ“-ში სწერია: გაზეთმა „Гражданинъ“-მა ტყუილი ამბავი დაჰბეჭდა, თითქოს პოდოლის გუბერნიაში ხოლერისაგან ყოველ დღე 500 კაცი იხოცებოდეს; ნამდვილად-კი ამ გუბერნიაში 26 დეკემბრიდგან 16 იანვრამდე ხოლერით ავად გახდა 586 კაცი, გარდაიცვალა 196.

ბერლინი. აღმოსავლეთის პროვინციების სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა დეპუტაციამ იმპერატორს მიართვა მოხსენება, რომელშიაც გამოთქმულია სოფლის მეურნეთა სურვილი. იმპერატორმა მიიღო დეპუტაცია და უთხრა, რომ ის ყოველთვის ზრუნავს თავის ქვეყნის კეთილდღეობისთვის და მოწადინებულია, აიცილოს სოფლის მეურნეთ ყოველი განსაცდელი. „ყველაზედ უფრო, სთქვა იმპერატორმა, საჭიროა მშვიდობიანობა, რომლის დაცვას შეუძლიანთ ხელი შეუწყონ სოფლის მამულის პატრონებმაც ჯარის გაძლიერებით. მართებლობა შეძლებისა და გვარად ს ხეში იქონიებს დეპუტაციის მიერ გამოთქმული სურვილს და მე, მსგავსად ჩემის წინაპრებისა, სოფლის მემამულენი მიმაჩნია სამეფოს უმთავრეს ბურჯად და მტკიცედ მჯერა, რომ ისინი სამუდამოდ დარჩებიან ამ ბურჯად.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

	ფასდაკლ.	გაყიდვ.	ფასდაკ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ბუნ-მანთიანი ობლიგ.	7 1/84	7 87	— „
ტბოლოვის ბუნთიები	151	151 3/4	— „
ანნეიანი ფურცლის ფული	1 1/08	1 1/10	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	240
—მეორისა	— „	— „	227 3/4
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— „	— „	195 3/4
გირაგნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა:			
6%.	102	— „	— „
5%.	100	— „	— „
ქუთაისის ბანკისა 6%.	102	— „	— „
5%.	100	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკredიტო საზოგადოებისა	99 1/4	— „	— „

ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ

ალ. ᲘᲕ.—ᲫᲔ Ფ—ᲠᲣᲡ. თქვენი მოწერილი ამბავი დეპეშის შესახებ არ დაიბეჭდება. არავითარი საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს. ლექსის ბედს ცალკე შეგატყობინებთ.

ს. Წ—ᲐᲜ Თ. Ა. Გ. თქვენი მოწერილი ამბები არ დაიბეჭდება. არავისთვის საინტერესო არ არის ის კერძო უსიამოვნება, რომელიც მანდ გაუბამთ ადგილების გაცვლის გამო. ის ამბავიც წერილმანია, რომლის გამოც გამოძიება ყოფილა.

Თ. Ძ—ᲫᲔᲡ. თქვენ მიერ გამოგზავნილი ლექსი დიდი ხანია, რაც დაბეჭდილია, და ამიტომ აღარ ვბეჭდავთ. თუ არა ვცდებით, ეგ ლექსი დაბეჭდილი იყო პირველად „ცისკარში“.

Ბ-ნ ნ. ს—ᲫᲔᲡ. თქვენი ლექსი „ორგვარი სილამაზე“ არ დაიბეჭდება. დაგვიჯერეთ, ტყუილად დროს ნუ ჰკარგავთ ლექსების წერაში. როგორც სჩანს, მოლექსეობა თქვენი საქმე არა ყოფილა!

Ძ—ᲮᲡ ს. Დ—ს. თქვენი წერილი მიგიღეთ. მალე გავშინჯავთ და, თუ დასაბეჭდია, დავბეჭდავთ.

Ვ—ᲐᲡ Ა. Გ—ᲨᲕᲘᲚᲘ. სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს გამოგზავნილს მოთხრობას, რომ კანონიერის ქართულით გეთარგმნათ.—თქვენს თარგმანში მრავალია ასეთი ფრაზები:

... მას(!) არ ახსოვდა არავითარი ზნეობრივი ღირებულტი(!?)...

... მოუფუო ქმარმა გულ-მოსული (თუ გულ-მოსულმა?)

... ქალმა(?) გამობრუნდა...

რა არის სიტყვა: აიძულია?

რა არის: ცხენს აკიანებდა?

... ჯინაზე ირჯებოდა...

... მთარახის რტყმევით...

სადაურია ასეთი თქმა:

... რაღაც შავი საათი მოვიდა მის თავზე...

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲚᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲔᲓᲕᲐᲖᲔᲓ

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲘᲚᲝᲡᲜᲐᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲮᲓᲘᲡ:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეიელის ნოვოროსიისკში, ᲙᲘᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეადგენ ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკოთ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკოთ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ᲤᲝᲗᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲙᲘᲦᲔᲑᲘᲡ:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲘᲠᲘᲐ-ᲨᲣᲐᲦᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—15)

ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამითი, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თთვით. . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეშე მცხოვრებ უნდა დაბარონ გაზეთის შემდეგის სადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე აღრესზედ შეცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის აღრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., მერეულზე—16 კაპ. ბ) სხვენი უკანასკნელი გვერდი 30 მანთა, ხოლო მერეული გვერდი—60 მანთა. რიგიანი სტრიქონებისა გამოინაგარაშვა იმის გვლბაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნონ. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საშეირაება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდნ ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მიიღეს, მერე რედაქციას ეფლარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების მესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია მდებარეობს: ᲙᲣᲯᲝᲜᲘᲡ, ნიკოლოზის ქუჩაზე, თაკ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამითი, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეგ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის საგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის აღრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-ფარეთლისა.

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

газета политическая, литературная, экономическая и общественной жизни.

Подписка на 1893 годъ.

Выходитъ ежедневно, въ форматѣ средняго газетнаго листа.

Съ цѣлью дать больше матеріала для чтенія газета выпускаетъ и вкладные листы.

Удовлетворяя желанія многихъ нашихъ подписчиковъ, редакція, не увеличивая цѣны газеты, будетъ выпускать для городскихъ подписчиковъ газету и послѣ праздничныхъ дней въ форматѣ четверти листа.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой для иногородныхъ:	
На годъ . . .	5 р.	на годъ . . .	6 р.
„ полгода . . .	3 „		
„ три мѣсяца . .	1 „ 75 к.		
„ мѣсяцъ . . .	— „ 75 „		

Подписка принимается: Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова № 3.

Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Февраля 1893 г. სტამბა ᲐᲐ. ᲬᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.